



## თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

#### ქ. თელავი

N 18  
24/04/2020

18-09-4-202004241629



### თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს საპრივატიზაციო ნუსხაში თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ვარდისუბანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.08.39.533).
2. დამტკიცდეს მიწის ნაკვეთის პრივატიზების გეგმა დანართის შესაბამისად.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე


საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



მიწის ნაკვეთის პრივატიზების გეგმა

| ქონების დასახელება  | მისამართი           | საკადასტრო<br>კოდი | მიწის<br>ნაკვეთის<br>ფართობი | საწყისი<br>საპრივატიზებო<br>საფასური<br>(ლარი) | აუქციონის<br>ფორმა | გადახდის<br>პერიოდი |
|---|---------------------|--------------------|------------------------------|--|--------------------|---------------------|
| სასოფლო-სამეურნეო<br>(სახნავი)<br>დანიშნულების<br>მიწის ნაკვეთი | სოფ.<br>ვარდისუბანი | 53.08.39.533       | 20000 კვ.მ.                  | 18 000   | უპირობო            | 15 დღე              |

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო